

## პრაქტიკული გამოცდა და გამოცდის ჩატარების წესი

### მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს პრაქტიკული გამოცდის ჩატარების პროცედურებს, რომელთა წარმატებით დაძლევის საფუძველზე კანდიდატს ენიჭება მფრინავის შესაბამისი კატეგორია/ქვეკატეგორია.
2. ამ წესის შესრულება სავალდებულოა ყველა კანდიდატისთვის, რომლებიც თეორიული გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ ფედერაციას მიმართავენ მფრინავის მოწმობის გაცემისა და ფრენის კატეგორიის/ქვეკატეგორიის მინიჭების მოთხოვნით.

### მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. ჩეკა - სპეციალური მავთული, რომლის სწორ პოზიციაში ყოფნა გამორიცხავს სათადარიგო პარაშუტის უნებლიე გაშლის შესაძლებლობას;
2. რევერსული სტარტი - სასტარტო მიმართულებასთან ზურგშექცევით აფრენა;
3. „ტოპ ლენდინგი“ (top landing) - აფრენა და დაჯდომა ერთსა და იმავე ადგილზე;
4. თერმული ნაკადი - ატმოსფერული მოვლენა, რომელიც განპირობებულია დედამიწის ზედაპირის არათანაბარი გათბობით, რაც იწვევს ქვემოდან ზემოთ ვერტიკალურად თბილი ჰაერის მასების სვეტისებრ მოძრაობას;
5. დინამიკური ნაკადი - თანაბრად გადაადგილებადი ჰაერის მასა, რომელიც, ზედაპირის რელიეფის გამო, იძენს გადაადგილების ვერტიკალურ მიმართულებას;
6. დემფირება - მანევრი, რომელიც მოხვევის შემთხვევაში ფრთის თანაბარი გადაადგილების საშუალებას იძლევა;
7. კანდიდატი - პირი, რომელიც მფრინავის კატეგორიისა და ქვეკატეგორიის მოპოვებისათვის აბარებს პრაქტიკულ და თეორიულ გამოცდებს;
8. პილონი - ნაჭრისგან დამზადებული კონუსური ფორმის კონსტრუქცია, 7-10 მეტრი სიმაღლის, 2-3-მეტრი რადიუსის ძირით, რომელიც გამოიყენება საჩვენებელი და საგამოცდო ფრენებისთვის;
9. სამპილონიანი ფრენა - პილონებს შორის ზიგზაგური ფრენა;
10. სამუშაო ბრუნნი - ძრავიანი პარაპლანის შემთხვევაში, ძრავის ბრუნის რიცხვი, რომელიც შეესაბამება მაქსიმალური გაწევის ძალას.

### მუხლი 3. პრაქტიკული საგამოცდო საფრენი ამოცანები და დავალებები

1. გამოცდის პრაქტიკული ნაწილის მიზანია, გამოავლინოს პირის პარაპლანის მართვის პრაქტიკული უნარ-ჩვევები მოთხოვნილი ქვეკატეგორიების მიხედვით, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

ა) ერთადგილიანი პარაპლანის მართვისთვის - PGS Single:

**ა.ა) RS ქვეკატეგორიისთვის:**

ა.ა.ა) კანდიდატმა აფრენამდე უნდა შეამოწმოს ფრთა, ჯამბარები, დარწმუნდეს, რომ სათადარიგო პარაშუტის „ჩეკა“ და სახელური გამოსაყენებლად მზადაა; ასევე დარწმუნდეს რადიოკავშირის გამართულ ფუნქციონირებაში;

ა.ა.ბ) კანდიდატი უნდა მოემზადოს ასაფრენად, აფრენის წინ დაათვალიეროს საჰაერო სივრცე, განსაზღვროს სტარტისთვის სწორი დრო;

ა.ა.გ) კანდიდატმა უნდა შეარჩიოს სწორი სასტარტო პოზიცია ამინდის შესაბამისად;

ა.ა.დ) სასტარტო პოზიციაზე კანდიდატმა ფრთა უნდა გამოიყვანოს რევერსული სტარტით და გააჩეროს 30 წამის განმავლობაში, შეამოწმოს ფრთა ვიზუალურად და დარწმუნდეს მის გამართულობაში;

ა.ა.ე) კანდიდატმა აფრენამდე რადიოკავშირის საშუალებით უნდა გამოხატოს ფრენისთვის მზადყოფნა და ფრენების ხელმძღვანელის თანხმობით აფრინდეს;

ა.ა.ვ) აფრენისას კანდიდატი უნდა შევიდეს დინამიკურ ნაკადში და აილოს სიმაღლე, საწინააღმდეგო საჭის დაბალანსებით (დემფირებით) შეასრულოს 180°-იანი მოხვევებით;

ა.ა.ზ) კანდიდატმა უნდა იფრინოს მინიმალური დაშვებული სიჩქარით (მაღალი შეტევის კუთხით);

ა.ა.თ) კანდიდატმა დინამიკურ ნაკადში უნდა აილოს სიმაღლე, შემდეგ დაბრუნდეს სასტარტო მოედანთან და დაჯდეს ასაფრენ მოედანზე, შეასრულოს ე.წ. top landing;

ა.ა.ი) კანდიდატმა ასაფრენ მოედანზე დაჯდომის შემდეგ ფრთა უნდა შეინარჩუნოს საფრენ მდგომარეობაში და ხელახლა აფრინდეს;

ა.ა.კ) დასაჯდომ მოედანზე შემოსვლისას კანდიდატმა უნდა შეასრულოს შემდეგი მანევრები: პარაპლანის საფრენი ზედაპირის ფართობის შემცირების ხარჯზე ფრთის პარაშუტირების რეჟიმში გადაყვანა და ამ რეჟიმიდან გამოყვანა;

ა.ა.ლ) დასაჯდომ მოედანთან 90°-ით მოხვევის შემდეგ კანდიდატი უნდა დაჯდეს მონიშნული წერტილიდან 15 მეტრის რადიუსში.

**ა.ბ) TS ქვეკატეგორიის საგამოცდო ფრენაზე დაიშვებიან მხოლოდ RS ქვეკატეგორიის მფრინავები. მფრინავმა ამ ქვეკატეგორიის მისაღებად უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:**

ა.ბ.ა) ფრენისას თერმული ნაკადის პოვნა და ამ ნაკადში შესვლა, სწორი დამუშავება და, მინიმუმ, 100 მეტრი სიმაღლის აღება;

ა.ბ.ბ) თერმული ნაკადიდან გამოსვლა, სხვა ნაკადის პოვნა და დამუშავება;

ა.ბ.გ) თერმული ნაკადიდან გამოსვლა და თავიდან შესვლა საპირისპირო მიმართულებით;

ა.ბ.დ) თერმულ ნაკადში სიმაღლის აღება, სასტარტო მოედანზე დაბრუნება და დაჯდომა (Top Landing);

ა.ბ.ე) თერმულ ნაკადში ორ ან მეტ საფრენ აპარატთან ერთად ფრენისას არიდების და ამ წესით დადგენილი უსაფრთხოების წესების დაცვა;

ა.ბ.ვ) აფრენისა და დაჯდომისას ყურადღება ექცევა, როგორ იცავს და აკმაყოფილებს მფრინავი RS ქვეკატეგორიის მოთხოვნებს.

ა.გ) CC ქვეკატეგორიის საგამოცდო ფრენაზე დაიშვებიან მხოლოდ TS ქვეკატეგორიის მქონე მფრინავები. ამ ქვეკატეგორიის მისაღებად მფრინავმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ა.გ.ა) დაჯდომის გარეშე თერმული ნაკადების დამუშავებით უნდა განახორციელოს მინიმუმ 30 კმ-იანი მარშრუტის ფრენა;

ა.გ.ბ) აფრენისა და დაჯდომისას ყურადღება ექცევა, როგორ იცავს და აკმაყოფილებს მფრინავი RS და TS ქვეკატეგორიის მოთხოვნებს.

ბ) ორადგილიანი პარაპლანის მართვისთვის - PGT Tandem:

ბ.ა) T ქვეკატეგორიის საგამოცდო ფრენაზე დაიშვებიან მხოლოდ PGS Single (TS) ქვეკატეგორიის მქონე მფრინავები. მფრინავმა ამ ქვეკატეგორიის მისაღებად უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

ბ.ა.ა) აფრენამდე უნდა შეამოწმოს ფრთა, ჯამბარები, დარწმუნდეს, რომ სათადარიგო პარაშუტის ჩეკა და სახელური გამოსაყენებლად მზადაა, ასევე, დარწმუნდეს რადიოკავშირის გამართულ ფუნქციონირებაში;

ბ.ა.ბ) მგზავრს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი, მოიზღოს/გადაამოწმოს საკუთარი და მგზავრის საფრენი აღჭურვილობა;

ბ.ა.გ) ამინდის შესაბამისად შეარჩიოს სწორი სასტარტო პოზიცია;

ბ.ა.დ) განსაზღვროს დამხმარე პერსონალის საჭიროება და მისცეს სწორი მითითებები;

ბ.ა.ე) აფრენამდე რადიოკავშირის საშუალებით გამოხატოს ფრენის განხორციელების მზადყოფნა და ფრენების ხელმძღვანელის თანხმობით აფრინდეს;

ბ.ა.ვ) გამოიყვანოს ფრთა საფრენ პოზიციაში წინა ან რევერსული სტარტით და შეამოწმოს ვიზუალურად;

ბ.ა.ზ) გააჩეროს ფრთა 10 წამის განმავლობაში;

ბ.ა.თ) დინამიკურ ნაკადში 180°-იან მოხვევებისას განახორციელოს ფრთის დემფირება;

ბ.ა.ი) დინამიკურ ნაკადში აიღოს სიმაღლე, გამოვიდეს დინამიკური ნაკადიდან, დააგდოს სიმაღლე, შემდეგ ხელახლა შევიდეს და აიღოს სიმაღლე;

ბ.ა.კ) დინამიურ ნაკადში უსაფრთხო სიმაღლეზე შეასრულოს მოკლე რვიანის ტიპის მანევრი;

ბ.ა.ლ) გამოვიდეს დინამიკური ნაკადიდან, დაბრუნდეს სასტარტო მოედანთან და დაჯდეს სასტარტო მოედანზე;

ბ.ა.მ) სასტარტო მოედანზე დაჯდომის შემდეგ შეინარჩუნოს ფრთის საფრენი მდგომარეობა და აფრინდეს;

ბ.ა.ნ) ფრენისას იპოვოს თერმული ნაკადი, შევიდეს ამ ნაკადში, სწორად დაამუშაოს და, მინიმუმ, 100 მეტრ სიმაღლეზე აფრინდეს;

ბ.ა.ო) გამოვიდეს თერმული ნაკადიდან, იპოვოს სხვა ნაკადი და დაამუშაოს;

ბ.ა.პ) გამოვიდეს თერმული ნაკადიდან და თავიდან შევიდეს საპირისპირო მიმართულებით;

ბ.ა.ჟ) თერმულ ნაკადში ორ ან მეტ საფრენ აპარატთან ერთად ფრენისას დაიცვას არიდების და ამ წესით დადგენილი უსაფრთხოების წესები;

ბ.ა.რ) დასაჯდომ მოედანზე შემოსვლისას შეასრულოს შემდეგი მანევრები: პარაპლანის საფრენი ზედაპირის ფართობის შემცირების ხარჯზე ფრთის პარაშუტირების რეჟიმში გადაყვანა და ამ რეჟიმიდან გამოყვანა;

ბ.ა.ს) დასაჯდომ მოედანთან 90°-ით მოხვევის შემდეგ განახორციელოს დაჯდომა მონიშნული წერტილიდან 15 მეტრის რადიუსში.

გ) ერთადგილიანი ძრავიანი პარაპლანის მართვა - PPGS Single:

გ.ა) PPGS Single (A) ქვეკატეგორიის საგამოცდო ფრენაზე დაიშვებიან მხოლოდ PGS Single (RS) ქვეკატეგორიის მქონე მფრინავები. ამ ქვეკატეგორიის მისაღებად მფრინავმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

გ.ა.ა) აფრენამდე უნდა ააწყოს პარამოტორი: ძრავის ჩარჩო, პროპელერი. გადაამოწმოს ყველა საკვანძო დამაგრების წერტილი შემდეგ დეტალებზე: საწვავის ავზი, პროპელერი, სტარტერი და გამოსაბოლქვი სისტემა;

გ.ა.ბ) დაქოქოს და გაათბოს ძრავა, გაიყვანოს სამუშაო ბრუნებზე და ჩააქროს ძრავა;

გ.ა.გ) უშუალოდ სტარტის წინ აარჩიოს სწორი სასტარტო პოზიცია და ადგილი, გაშალოს ფრთა. ხელახლა შეამოწმოს საკვანძო დამაგრების წერტილები, საწვავის რაოდენობა ავზში, აალების სისტემისა და საწვავის სისტემის გამართულობა;

გ.ა.დ) მოირგოს აღჭურვილობა. დაქოქოს, გაათბოს ძრავა და გაიყვანოს სამუშაო ბრუნზე. გამოხატოს ასაფრენად მზადყოფნა და ფრენების ხელმძღვანელის თანხმობის შემდეგ აფრინდეს;

გ.ა.ე) ფრენისას შეასრულოს წინასწარ დაგეგმილი საფრენი ამოცანები:

გ.ა.ე.ა) სამკუთხა სამარშრუტო ფრენა;

გ.ა.ე.ბ) სამპილონიანი ზიგზაგის ფრენით წინ და უკან გავლა;

გ.ა.ე.გ) სიმაღლის ნულოვანი ცვლილებით ფრენა;

გ.ა.ე.დ) დასაჯდომ მოედანზე ნიშნულთან 5-მეტრიან რადიუსში დაჯდომა.

დ) ორადგილიანი ძრავიანი პარაპლანი - PPGT Tandem:

დ.ა.) PPGT Tandem ქვეკატეგორიის საგამოცდო ფრენაზე დაიშვებიან მხოლოდ PPGS Single (A) და PGT (T) ქვეკატეგორიის მქონე მფრინავები. ამ ქვეკატეგორიის მისაღებად მფრინავმა უნდა დააკმაყოფილოს შემდეგი მოთხოვნები:

დ.ა.ა) აფრენამდე უნდა ააწყოს პარამოტორი: ძრავის ჩარჩო, პროპელერი. გადაამოწმოს ყველა საკვანძო დამაგრების წერტილი შემდეგ დეტალებზე: საწვავის ავზი, პროპელერი, სტარტერი და გამოსაბოლქვი სისტემა;

დ.ა.ბ) დაქოქოს და გაათბოს ძრავა, გაიყვანოს სამუშაო ბრუნებზე და ძრავა ჩააქროს;

დ.ა.გ) უშუალოდ სტარტის წინ აარჩიოს სწორი სასტარტო პოზიცია და ადგილი, გაშალოს ფრთა. ხელახლა შეამოწმოს საკვანძო დამაგრების წერტილები, შეამოწმოს საწვავის რაოდენობა ავზში, აალების სისტემისა და საწვავის სისტემის გამართულობა;

დ.ა.დ) მგზავრს ჩაუტაროს ინსტრუქტაჟი და მასთან ერთად მოირგოს ჩასაჯდომ-ჩასაბმელი სისტემები;

დ.ა.ე) დაქოქოს, გაათბოს ძრავა და გაიყვანოს სამუშაო ბრუნზე. საჭიროებისამებრ, მოითხოვოს დამხმარე პერსონალი, გამოხატოს ასაფრენად მზადყოფნა და ფრენების ხელმძღვანელის თანხმობის შემდეგ აფრინდეს;

დ.ა.ვ) ფრენისას უნდა შეასრულოს წინასწარ დაგეგმილი საფრენი ამოცანები:

დ.ა.ვ.ა) სამკუთხა სამარშრუტო ფრენა;

დ.ა.ვ.ბ) სამპილონიანი ზიგზაგის ფრენით წინ და უკან გავლა;

დ.ა.ვ.გ) სიმაღლის ნულოვანი ცვლილებით ფრენა;

დ.ა.ვ.დ) პარაპლანის საფრენი ზედაპირის ფართობის შემცირების ხარჯზე ფრთის პარაშუტირების რეჟიმში გადაყვანა და მართვა (BIG EARS).

დ.ა.ზ) დასაჯდომ მოედანზე ნიშნულთან 10-მეტრიან რადიუსში დაჯდომა.

2. პრაქტიკული გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ კანდიდატმა წინამდებარე წესით განსაზღვრული პრაქტიკული საფრენი ამოცანებისა და დავალებების 80% და მეტი წარმატებით შეასრულა.